პრეამბულა

ვინაიდან ოცდამეერთე საუკუნის მიჯნაზე კაცობრიობა კიდევ ერთხელ უახლოვდება ბირთვული ომის ახალ საფრთხეს, ხოლო კაცობრიობის უმეტესი ნაწილი ვერ ახდენს გავლენას პოლიტიკურ პროცესებზე, მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად ჩვენ ყველა ვირჩევთ ხელისუფლებას, რათა გვემსახუროს, მაგრამ ისინი ვერ იცავენ საკუთარი მოქალაქეების უფლებებს. უმდიდრესი საერთაშორისო კორპორაციები კი მდიდრდებიან კაცობრიობის უმეტესი ნაწილის სოციალური მდგომარეობის გაუარესების ხარჯზე, სოციალური უთანასწორობის და შრომითი უფლებების დარღვევის ფონზე, მიზანმიმართულად მცირდება სამუშაო ადგილები, ირღვევა მშრომელთა უფლებები, პოლიტიკური კრიზისების და გეოსტრატეგიული კატაკლიზმების პარალელურად იზრდება სოციალური და შრომითი მიგრაცია, ადამიანები იძულებულნი არიან დატოვონ სამშობლო და თავშესაფარი ითხოვონ უცხო ქვეყნებში. დაუცველია მშვიდობიანი მოოქალაქეების სიცოცხლის და ხელშეუხებლობის გარანტია, დღემდე გრძელდება ჩვილი და არასრულწლოვანი ბავშვებით ვაჭრობა და ექსპლოატაცია. უახლოესმა წარსულმა გვაჩვენა, რომ კაცობრიობას კვლავ შეიძლება დაემუქროს 2019 წლის მსგავსი პანდემია, რაც შეიძლება ადამიანის შეზღუდვის, ფუნდამენტური უფლებების და თავისუფლების ხელახალი დარღვევის მიზეზი გახდეს. მიმაჩნია რომ მიმდინარე მოვლენების ჟამს მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოების უმრავლესობის ორგანიზებით და საყოველთაო პასუხისმგებლობის განხორციელებით შეიძლება მოქალაქეებმა დაიცვან საკუთარი უფლებები, რისთვისაც მომზადდა აღნიშნული დოკუმენტი, რომელიც ინდივიდუალურია ყოველი მოქალაქისთვის განურჩევლად რასისა თუ ეთნიკური კუთვნილებისა.

ადამიანის უფლებათა სამოქალაქო დეკლარაცია

მე ჩემი ქვეყნის მოქალაქე ჩემს თანამოქალაქეებთან ერთად ვარ ჩემი სახელმწიფოს საფუძველი, რომელიც უფლებამოსილად მივიჩნევ თავს გავაკეთო მოცემული განაცხადი, რომლითაც განვახორციელებ უფლის მიერ ჩემზე დაკისრებულ უფლება-მოვალეობას და ჩემს თანამოქალაქეებთან ერთად ვიღებ საყოველთაო პასუხისმგებლობას უფლის, ერისა და სახელმწიფოს წინაშე დავიცვა ადამიანთა უფლებები, რომლის დაცვა დღემდე გარანტირებული იყო ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით, რომლის მიღებიდან 78 წელი გავიდა და თანამედროვე რეჟიმებმა მოახერხეს მისი უგულვებელყოფა, რის შედეგად ირღვევა ადამიანის ფუნდამენტური უფლებები, როგორიცაა სიცოცხლის და ბუნებრივი გამრავლების, სოციალური დაცვის და შრომის ღირსეული ანაზღაურების, თავისუფალი არჩევანის და სახელმწიფოს პოლიტიკურ ასპარეზზე მონაწილეობის სამოქალაქო უფლება, რომელიც იზღუდება უსამართლო კანონებით!... მივიჩნევ, რომ ირღვევა ჩემი ფუნდამენტური უფლება ავირჩიო, ან ვიყო არჩეული ქვეყნის ნებისმიერ არჩევით ორგანოში, როგორც თავისუფალი მოქალაქე, რომელსაც არ ზღუდავს ვიწრო პარტიული ამბიციები, რომელსაც დღეს ეწირება სახელმწიფო ინტერესები. დღეიდან თანამოქალაქეებთან ერთად ჩემს ტერიტორიულ ერთეულში ვაფუძნებ (სათათბირო ორგანოს) "სამოქალაქო დარბაზს", სადაც ყოველ მოქალაქეს ექნება საშუალება საყოველთაო განხილვაზე წარადგინოს საჭირბოროტო საკითხი, რომელიც პირდაპირ, ან ირიბად ეხება ჩემს თანამოქალაქეებს. ჩვენ განვიხილავთ და ერთობლივად მივიღებთ გადაწყვეტილებებს ასეთ საკითხებთან დაკავშირებით, შევადგენთ შესაბამის ოქმებს და გავაცნობთ მათ ტერიტორიული ერთეულის ყველა სრულწლოვან მოქალაქეს, რომლებიც ოქმის დანართში მიუთითებენ საკუთარ პოზიციას განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. ასევე განვახორციელებ კოორდინაციას ანალოგიურ სახალხო დარბაზებთან, რათა ჩემი ქვეყნის მოქალაქეებთან ერთად დავაფიქსირო საყოველთაო და მტკიცე ნება და ჩავერთო ჩემი ქვეყნის დაცვისა და განვითარების მნიშვნელოვან მოვლენებში და ხელისუფლებას, რომელსაც ვირჩევ, მუდმივად ვუკარნახო ჩემი ხალხის ნება და არ მივცე უფლება იმოქმედონ უფლის, ერისა და სახელმწიფოს ინტერესების წინააღმდეგ!... ვადასტურებ, რომ ამიერიდან ეს ჩემი სამოქალაქო მოვალეობაა, რომელსაც დღეიდან თანამოქალაქეებთან ერთად განვახორციელებ საყოველთაო პასუხისმგებლობით.

რაზედაც პირადად ვაწერ ხელს:

დეკლარაციის მიღების თარიღი: ---------- პირადი ხელისმოწერა: ----------